პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 102 (3079) 29 1966 წ. მაისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი 1966

XIX პარტია

## ანგარიში გათანაბრდა

მოსკოვი, 28 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს მოეწყო პეტროსიან — სპასკის მატჩის XIX პარტიის დამთავრება. როგორც ვიუწყებოდით, იგი გადაიდო პრეტენდენტის პოზიციური უპირატესობით. თამაშის განახლებისას სპასკიმ ძალიან ზუსტად ითამაშა და აიძულა მსოფლიო ჩემპიონი 68-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ეცნო. აი, როგორ წარიმართა პარტია.

41. fe de 42. მe6 მc4 43. კ:c4 ე:c4 44. მc5 ეf7 45. ეa1 მფg5 46. ეa5 მფf4 47. მფf2 კd5 48. მb3 მფe5 49. მფe2 ეc6 50. მd2 მფe6 51. მ:e4 კc4+ 52. მფd2 ეd7+ 53. მფc2 მფf7 54. ეe5 მფg7 55. მd2 კb5 56. მf3 კa4+ 57. მფb2 ეd1 58. ე5e4 ეf1 59. ეe1 ე:e1 60. ე:e1 ეf6 61. ეe4 g5 62. მ:g5 ეf2+ 63. მფa3 კc6 64. ე:h4 კ:g2 65. მe4 ეe2 66. მc5 კf1 67. ეf4 ეe1 68. h4. პეტროსიანი დანებდა.

ამრიგად, XIX პარტიის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 9,5:9,5. XX პარტია გაიმართება 30 მაისს.

## ფინალში!

ბელგრადი, 28 მაისი. იუგოსლავიის სახალხო არმიის სტადიონზე გუშინ გაიმართა უეფა-ს ტურნირის ნახევარფინალური მატჩი იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. მწელი 80-წუთიანი ბრძოლა (40-წუთიანი 2 ტაიმი) დამთავრდა ჩვენი ნაკრების გამარჯვებით, რომელიც ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ივანოვი („დინამო", მოსკოვი), იანეცი („ავინტული", კიშინიოვი), მოროზოვი (ცსკა), შერგელაშვილი, ჭოხონელიძე (ორივენი — „დინამო", თბილისი), ტესლევი („ავინტული", კიშინიოვი), კურილოვი („დინამო", მინსკი), ავერიანოვი (ბავშვთა მე-3 სპორტსკოლა, ნიკოლაევი), ბექთაშევი („პახტაკორი", ტაშკენტი), გერშკოვიჩი („ლოკომოტივი", მოსკოვი), გ ნოდია („ტორპედო", ქუთაისი).

ამ მატჩის ერთადერთი ბურთი 29-ე წუთზე გაიტანა ბექთაშევმა, რომელიც გუნდის კაპიტან მოროზოვთან ერთად ნახევარფინალური შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს.

ხვალ ფინალში ჩვენები შეხვდებიან იტალიელებს, რომლებმაც მოუგეს ესპანეთის იუნიორთა ნაკრებს — 1:0.

III საპრიზო ადგილისთვის ითამაშებენ იუგოსლავიისა და ესპანეთის ჭაბუკები.



სამ დღეს იმყოფებოდნენ თბილისში რიგის კალათბურთელ მოსწავლე გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრები გუნდები, რომლებმაც სამ-სამი შეხვედრა გამართეს თბილისელ თანატოლებთან. სტუმრები უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ — ყველა მატჩში გაიმარჯვეს.

## საათი!

◆ პარიზი, 28 მაისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ყურადღების ცენტრში საბჭოთა სპორტსმენები იყვნენ. პარიზელთა „ძველი ნაცნობი" გ. ბლიზნეცოვი 490 სანტიმეტრზე გადახტა ჭოკით და I ადგილი დაიკავა. 20 სმ-ით ჩამორჩა მას საფრანგეთის რეკორდსმენი ჟ. დ'ანკოსი. სიმაღლეზე ხტომაში ერთნაირი შედეგი (209 სმ) აჩვენა სამმა სპორტსმენმა. გამარჯვება ფრანგ სენტ-როზს მიენიჭა. საბჭოთა მძლეოსანი ვ. სკვორცოვი II იყო. III ადგილზეა საფრანგეთის რეკორდსმენი მადიუბო. 200 მეტრზე რბენაში ნ. პოლიტიკო (სსრ კავშირი) II ადგილზეა. გაიმარჯვა ფრანგმა ბერჟემ — 21,3. 100 მეტრზე რბენაში პოლიტიკო IV იყო (10,8).

◆ კოპენჰაგენი, 28 მაისი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 212 სანტიმეტრ სიმაღლეს გადაევლო „220 სმ მხტომელთა კლუბის" წევრი, პოლონეთის რეკორდსმენი ე. ჩერნიკი.

◆ მიუნსტერი, 28 მაისი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში ტოკიოს ოლიმპიადის „ოქროს" მფლობელმა, რუმინელმა შუბის მტყორცნელმა ქალმა მ. პენეშმა აჩვენა 54,05 მ.

◆ ვარშავა, 28 მაისი. წვიმასა და ძლიერ პირქარში მოუწია სარბენ ბილიკზე წლეულს პირველი გამოსვლა ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიო რეკორდსმენს ი. კირშენშტეინს. და მაინც, 200 მეტრზე რბენაში ირენამ უხეირო შედეგი როდი აჩვენა — 24,4.

◆ ლაიპციგი, 28 მაისი. სოციალისტური ქვეყნების თავდაცვითი საზოგადოებების მსროლელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველაზე ზუსტი სპორტსმენის სახელი დაისაკუთრა მ. ნიიაზოვმა (სსრ კავშირი). „დოსააფის დიდ პრიზზე" გამართულ ტურნირში მან უკვე 3 გამარჯვება მოიპოვა, შეჯიბრება კი გრძელდება. ნიიაზოვი მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლისას I იყო წოლით (390), დგომით (372) და 3 მდგომარეობის ჯამში (1155 ქულა). გუნდურ ჩათვლაშიც ჩვენმა სნაიპერებმა ისახელეს თავი — 4579 ქულა. II ადგილზე არიან უნგრელები — 4487, III — გდრ — 4478. მანამდე საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს სამატჩო პისტოლეტით სროლა — 2163 ქულა.

## ა. ჯანუყაშვილმა კვლავ იმარჯვა

მოსკოვი, 28 მაისი (ტელეფონით). დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა პირველობა სპორტის ამ წარმტაცი სახეობის ცალკეულ იარაღებზე. ქალთა შორის თავი ისახელა ლენინგრადელმა ნ. კუჩინსკაიამ, რომელიც საუკეთესო იყო ძელზე და თავისუფალ ვარჯიშში.

ძელზე ვარჯიშში II ადგილი დაიკავა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, ვიტებსკელმა მოსწავლემ ლ. პეტრიკმა. III ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა ა. ჯანუყაშვილმა.

ვაჟთა ტურნირში „ოქროს" უხვი მოსავალი მოიმკა ვ. ლისიცკიმ (მოსკოვის ოლქი). მან გაიმარჯვა ბქენით ხტომებსა და ღერძზე ვარჯიშში ორძელზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას აჯობა ტაშკენტელმა ს. დიომიდოვმა.

* * *





სურათებზე: ზევით — ლ. პეტრიკი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს; ქვევით — ს. დიომიდოვი ორძელზე.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი) და ვ. ტუტოვისა.

## საქართველოს რეკორდი ბაქოში

მძლეოსნობა

ბაქოში ამას წინათ გაიმართა აზერბაიჯანის და საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა მატჩი. კარგად გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები ი. კონდრატიევი და ვ. ჩერნოვი. 200 მეტრზე რბენაში კონდრატიევმა აჩვენა 22,0 და 0,1 წამით გააუმჯობესა უფროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც 1954 წლიდან ეკუთვნოდა ლ. ანთაძეს. ამავე ასაკში ჩერნოვმა 110 მეტრზე თარჯრბენში ი. დიაჩკოვის მიერ 9 წლის უკან დამყარებული რეკორდი გაიმეორა.

## ახალი ამბები

● კიევი, 27 მაისი. სამხედრო სასწავლო დაწესებულებათა ძალოსნების აქ მიმდინარე ჩემპიონატში მერიგე ე. პუტრინმა (მძიმე წონა) სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა იუნიორთათვის — სამჭიდში 442,5 კგ დააგროვა. ახალგაზრდა ათლეტმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

● პარიზი, 27 მაისი. საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ურიგოდ როდი აიღეს სტარტი საბჭოთა სპორტსმენებმა. თბილისელმა ა. მეტრეველმა მოუგო ძლიერ ინგლისელ ჩოგბურთელს რ. ტეილორს. შემდეგ იგი შეხვდა კოლუმბიელ უ. ალვარესს და ისიც დაამარცხა — 6:0, 6:2, 6:4. ამ გამარჯვების წყალობით მეტრეველი უძლიერესთა ოცდათორმეტეულში მოხვდა. აქ მისი პირველი მეტოქე იყო ავსტრალიელი მ. მალიგანი. გ. ბაკშეევამ მოუგო ფრანგ მ. კრისტიანის (6:4, 6:2) და ისიც უძლიერესთა ოცდათორმეტეულში შევიდა. უხეიროდ იასპარეზა მოსკოველმა რ. ისლანოვამ, რომელმაც წააგო იტალიელ ფ. გორჯიანისთან — 3:6, 2:6. და აი, დაიწყო უძლიერესთა ტურნირის პირველი შეხვედრები. ავსტრალიელმა რ. ემერსონმა მოუგო ფრანგ ბ. ბუტბულს — 6:3, 9:7, 7:5; იუგოსლაველმა ნ. შპეარმა — ფრანგ ჟ. ბარკლაის — 6:3, 6:2, 6:2, საფრანგეთის „მეორე ჩოგბურთელმა" ფ. ჟოფრემ — ვეტერან ა. სეგალს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 6:4, 6:3, 6:2, ფრანგმა ჟ. გოვენმა — იტალიელ გ. დი მასოს — 8:6, 6:4, 9:7. ბრწყინვალედ ითამაშა ა. მეტრეველმა მ. მალიგანის წინააღმდეგ. მსოფლიოს ეს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი მან დაამარცხა — 3:6, 6:1, 6:3, 6:3. მეტრეველი თექვსმეტეულში გავიდა, სადაც მისი მეტოქე იქნება რალსტონ (აშშ) — კოუდერის (ესპანეთი) შეხვედრაში გამარჯვებული. ლიხაჩოვთან წყვილში თბილისელი უგებს ინტერნაციონალურ დუეტს ოკერ (ჰოლანდია) — რაფელსს (ავსტრალია) — 7:5, 3:3 (სიბნელის გამო ეს შეხვედრა არ დამთავრებულა).

ა. მეტრეველმა მოუგო მ. მალიგანს

სურათზე: რიგისა და თბილისის კალათბურთელ გოგონათა ასპარეზობის მომენტი. ამ მატჩის ანგარიშია 51:49.

ფოტო ი. იუნაევისა.

## გუშინ...

თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის გუნდების მატჩი მძლეოსნობაში. პროგრამის უკვე დამთავრებულ 16 სახეობაში მონაწილეებმა აჩვენეს ოსტატის 4, ოსტატობის კანდიდატის 9 და I თანრიგის 29 შედეგი. პირად ჩათვლაში კარგად გამოვიდნენ: ლამარა ტულუში (საქართველო) — ბადრო, 49,49; ბაქოელები ვ. ტატარინცევი — ურო, 62,56, ა. დემენტიევი — სამხტომი, 15,88, ი. ბალანოვი — ბადრო, 54,22. საერთო გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ მასპინძლები — 180,5 ქულა. ისინი 20 ქულით უსწრებენ აზერბაიჯანის ნაკრებს, რომელსაც 8 ქულით ჩამორჩება მოლდავეთი. სომხეთის მძლეოსნებმა 91,5 ქულა მოაგროვეს.

## „ა" კლასი II ჯგუფი

კრასნოდარში გაიმართა კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ადგილობრივმა „კუბანმა" მოუგო ბათუმის „დინამოს" — 3:1.

# თავიდათავია სპორტული ბაზა!

დაიწყო და 1967 წლის 1 ოქტომბრამდე გაგრძელდება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სპორტული ბაზებისა და ნაგებობათა საზოგადოებრივ საწყისებზე მშენებლობისა და კეთილმოწყობის საკავშირო კონკურს-დათვალიერება, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ კონკურს-დათვალიერებაში რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლების მონაწილეობა, საქართველოს სსრ სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა სპორტკავშირის რაიონულ, საქალაქო, საოლქო საბჭოებსა და ნებაყოფლობით საზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებს დაავალა ამ სასწავლებლების ხელმძღვანელებს გააცნონ კონკურს-დათვალიერების დებულება და ადგილობრივი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით საჭირო ღონისძიებანი გაატარონ სასწავლებლებში არსებული სპორტული ბაზებისა და ნაგებობების კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივ საწყისებზე მშენებლობის უზრუნველსაყოფად.

სპორტკავშირის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო საბჭოებმა, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკურმა საბჭოებმა საკავშირო კონკურს-დათვალიერების მასალები საქართველოს სპორტკავშირს უნდა წარუდგინონ 1967 წლის 10 სექტემბრისთვის.

საქართველოდან საკავშირო კონკურს-დათვალიერებისთვის გასაგზავნი მასალების შერჩევის მიზნით შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: თ. მანაგაძე (თავმჯდომარე), შ. სუხიშვილი, გ. ხომერიკი, რ. პოპოვა, გ. ხოშტარია, ზ. ჯაფარიძე.

ვბეჭდავთ კონკურს-დათვალიერების დებულებას.

## I. კონკურს-დათვალიერების ორგანიზაცია

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სპორტული ბაზებისა და ნაგებობათა საზოგადოებრივ საწყისებზე მშენებლობისა და კეთილმოწყობის საკავშირო კონკურს-დათვალიერებას აწყობენ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოსა და პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭო.

კონკურსი მიზნად ისახავს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მასწავლებელთა და მოსწავლეთა ძალებით სპორტული ბაზების მშენებლობასა და კეთილმოწყობას.

კონკურს-დათვალიერების ჩატარების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისთვის მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებში იქმნება საკონკურსო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შედიან სამინისტროების, მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების, სპორტკავშირის, პროფკავშირებისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებათა საბჭოების წარმომადგენლები.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კონკურს-დათვალიერების ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებენ საკონკურსო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში გაერთიანდებიან ადმინისტრაციის, კომკავშირის, პროფკავშირის, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს (სპორტული კლუბის გამგეობის) და ფიზაღზრდის ხელმძღვანელები (მასწავლებლები).

საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ კონკურს-დათვალიერებაში, მათი სამშენებლო ობიექტების შესახებ წერილობით დროულად უნდა აცნობონ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებს (უწყებებს) საშუალო სპეციალური სასწავლებლების დაქვემდებარების მიხედვით, აგრეთვე, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური მომზადების განყოფილებას.

## II. კონკურს-დათვალიერების პირობები

საკავშირო კონკურს-დათვალიერებაში მონაწილეობის უფლება აქვთ სსრ კავშირის ყველა საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს.

გამარჯვებულად ჩაითვლება იმ სასწავლებლის კოლექტივი, რომელიც უკეთ გამოიყენებს ადგილობრივ სამშენებლო მასალებსა და რესურსებს და ტექნიკუმის (სასწავლებლის) ნაკვეთზე ან მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელთან საზოგადოებრივ საწყისებზე ააგებს და კეთილმოაწყობს:

**მარტივი კონსტრუქციის სპორტულ პავილიონს ან არსებულ სასწავლო კორპუსს მიაშენებს სპორტულ დარბაზს, რითაც უზრუნველყოფს ზამთარ-ზაფხულ მეცადინეობას ტანვარჯიშში, სპორტულ თამაშებში, მძლეოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებში;**

**ხელოვნურ ღია საცურაო აუზს ზომით 25×10 მ ან კომპლექსურ სპორტულ მოედანს (კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთისთვის — 7×7, ნორმალური დრენაჟითა და გრუნტით), ტანვარჯიშულ ბაქანს, 125-მეტრიან სარბენ ბილიკებს, სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომ სექტორებს ან სათხილამურო ბაზას 100-200 წყვილი თხილამურისთვის, გასახდელით, საშრობი ოთახით და სხვა დამხმარე სათავსოებით ან ჩაატარებს არსებული სპორტული ბაზების რეკონსტრუქციას იმ მიზნით, რომ ისინი მთელი წლის მანძილზე სამეცადინოდ გამოიყენოს, საშუალო სპეციალურ სასწავლებელში შექმნის სასწავლო, გამაჯანსაღებელი ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობისთვის საჭირო ნაგებობებს.**

სპორტბაზებისა და ნაგებობების მშენებლობა და კეთილმოწყობა შეიძლება, აგრეთვე, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა რამდენიმე კოლექტივების მონაწილეობით (სატექნიკუმთაშორისო სპორტბაზები და ნაგებობანი).

## III. შედეგების შეჯამება

სპორტბაზებისა და ნაგებობების საზოგადოებრივ საწყისებზე მშენებლობისა და კეთილმოწყობის საკავშირო კონკურს-დათვალიერების შედეგების შესაჯამებლად და გამარჯვებული კოლექტივების გამოსავლენად სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან იქმნება ცენტრალური საკონტროლო კომისია, რომელშიც შედიან კონკურს-დათვალიერების მომწყობი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოკავშირე რესპუბლიკების საკონკურსო კომისიები ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება კონკურსის დებულებით გათვალისწინებული პუნქტები. შედეგების შეჯამებისა და გამარჯვებული კოლექტივების გამოვლენის შემდეგ (არა უგვიანეს 1967 წლის 15 სექტემბრისა) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური მომზადების განყოფილებას წარუდგენენ მასალებს საშუალო სპეციალური სასწავლებლების იმ კოლექტივებზე, რომლებმაც რესპუბლიკურ კონკურს-დათვალიერებაში დაიკავეს I-III ადგილები და:

ა) ცნობებს ახლადაშენებული და კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებისა და ნაგებობების შესახებ, აგრეთვე, მიწის ნაკვეთის გამოყოფისა და მიკუთვნების აქტების ასლებს;

ბ) განმარტებით ბარათს სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მშენებლობისა და კეთილმოწყობისთვის გაწეული მუშაობისა და აგებული ობიექტის ფაქტიური ღირებულების შესახებ. სპორტული ბაზებისა და ნაგებობების საბალანსო ღირებულება დამოწმებული უნდა იყოს საშუალო სპეციალური სასწავლებლის დირექტორისა და მთავარი ბუღალტრის ხელისმოწერით;

გ) სპორტკავშირის საბჭოს მიერ შემოწმებულ პასპორტსა და აქტებს სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მიღების შესახებ, სადაც მითითებული უნდა იყოს ჩატარებულ სამუშაოთა მოცულობა;

დ) დამთავრებულ ობიექტთა ფოტოსურათებს;

ე) რესპუბლიკის მასშტაბით მოწყობილი კონკურს-დათვალიერების საერთო შედეგებს (კონკურს-დათვალიერების მონაწილე საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი, სპორტბაზებისა და ნაგებობების ჩამოთვლა, — მათ შორის, კეთილმოწყობილის — და შესრულებულ სამუშაოთა საერთო მოცულობა).

ცენტრალური საკონკურსო კომისია არა უგვიანეს 1967 წლის 30 სექტემბრისა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს და პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგენს კონკურს-დათვალიერების შედეგებს.

## IV. დაჯილდოება

საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივები და კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებმაც სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მშენებლობაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს, ჯილდოვდებიან:

ა) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წითელი დროშითა და საპატიო სიგელით, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს, პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს I ხარისხის დიპლომებით და სპორტინვენტარისა და მოწყობილობის კომპლექტით (ფიზკულტურის 1 კოლექტივი);

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სიგელით, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს, პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს I ხარისხის დიპლომებით და სპორტინვენტარისა და მოწყობილობის კომპლექტით (ფიზკულტურის 2 კოლექტივი);

გ) საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით და სპორტინვენტარისა და მოწყობილობის კომპლექტით (საშუალო სპეციალური სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაცია);

დ) საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით და სპორტინვენტარისა და მოწყობილობის კომპლექტით (საშუალო სპეციალური სასწავლებლის 5 კომკავშირული ორგანიზაცია);

ე) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სიგელით, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს, პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის II ხარისხის დიპლომებით და სპორტინვენტარისა და მოწყობილობის კომპლექტით (ფიზკულტურის 5 კოლექტივი).

ვ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სიგელით, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს, პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის III ხარისხის დიპლომებით და სპორტინვენტარისა და მოწყობილობის კომპლექტით (ფიზკულტურის 10 კოლექტივი).

სამინისტროები და უწყებები კონკურს-დათვალიერების ამ დებულების მიხედვით დამოუკიდებლად გამოავლენენ მათდამი დაქვემდებარებულ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს შორის საუკეთესო კოლექტივებს და მიიღებენ გადაწყვეტილებას მათი დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძლეოსნურ ბილიკებზე

### „ოლიმპიური გაზაფხულის" სტარტები

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სპორტკავშირის რესპუბლიკურმა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, ჩაატარონ III დაუსწრებელი შეჯიბრება მძლეოსნობაში — „ოლიმპიური გაზაფხული". ასპარეზობა გაგრძელდება 15 ივნისამდე და იგი ყველა სკოლაში, საშუალო სპეცსასწავლებელსა და პროფტექსასწავლებელში ორ ასაკობრივ ჯგუფად უნდა ჩატარდეს.

შეჯიბრების პროგრამაშია რბენა, ხტომა, ყუმბარის ტყორცნა, ბირთვის კვრა, კროსი.

თბილისის ლენინის რაიონის 112-ე საშუალო სკოლაში გამართულ ამგვარ ასპარეზობაში 200 ბავშვი მონაწილეობდა. ბევრმა კარგი შედეგი აჩვენა. მაგალითად, მეათეკლასელმა თ. ბერიაშვილმა ბირთვი 12,80 მეტრზე კრა და 150 სმ სიმაღლე დაძლია; მერვეკლასელმა ზ. მსხილაძემ 60 მ 8,6 წამში გაირბინა, ხოლო მეათეკლასელმა ს. სულთანიშვილმა 100 მ — 12,6 წამში...

31-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში გაიმართა კროსი 800 მეტრზე. იმის გამო, რომ უფროსკურსელები პრაქტიკაზე არიან, შეჯიბრების სტარტზე გამოვიდა 122 მონაწილე და სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველამ დაამთავრა კროსი. ი. გოგულაშვილმა, რ. ჯიქურმა, გ. ბადაგაძემ, ნ. თეგეტაშვილმა და დ. შუკაშვილმა მოზრდილთა III თანრიგის ნორმატივი შეასრულეს. 27 მონაწილემ მიაღწია მოზარდთა I თანრიგის, ხოლო 22-მა — II თანრიგის მაჩვენებელს.

ვ. ბუკინი,
I კატეგორიის მსაჯი.

## 17 და 283

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირადგუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 17 კოლექტივის 283 სპორტსმენი.

ჩათვლაში შედიოდა სულ ცოტა III თანრიგის მაჩვენებლები. ამ შედეგებს გამარჯვებულთაგან მიაღწიეს — ქალთა შორის: 100 მეტრზე რბენაში — ხაბაშვილმა (გორი) — 13,8; სიგრძეზე ხტომაში — კილაძემ (მახარაძე) — 493; სიმაღლეზე ხტომაში — ბასილაძემ (ბათუმი) — 135; ბადროს ტყორცნაში — მიქაუტაძემ — 28,70, ბირთვის კვრაში — კაკრიაშვილმა (ორივენი — ამბროლაური) — 8,64; ვაჟთა შორის: 100 და 200 მეტრზე რბენაში — დარჯანიამ (დიდი ჯიხაიში) — 11,2 და 23,8; 400 მეტრზე რბენაში — მაღრაძემ (ბათუმი) — 53,7; 800 და 1.500 მეტრზე რბენაში — ოთხოზორიამ (ზუგდიდი) — 2.10,0 და 4.34,2; 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — დიდი ჯიხაიშის „კვარტეტმა" — 47,5, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში — კურტანიძემ (გორი) — 590 და 170; ბადროს ტყორცნაში — ხვისტანმა (ახიგვარი) — 34,98.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. დიდი ჯიხაიში — 3675 ქულა, 2. გორი — 2581, 3. ბათუმი — 2325.

ჯ. ვაშაკიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## კომკავშირულ-პროფკავშირული...

500-მდე მძლეოსანი მონაწილეობდა ტრადიციულ კომკავშირულ-პროფკავშირულ კროსში, რომელიც „განთიადის" თბილისის საქალაქო საბჭომ ჩაატარა. 500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშამ ვ. თეთრაძემ — 1.25,0. მან 10 წამით ჩამორჩა 11 პრიზიორი, აგრეთვე შუშის ქარხნის გუნდის წევრი ვ. კლევცოვა.

ვაჟთა შორის 1000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ჯ. სუხიშვილმა — 3.17,0. ქალთა შორის ამავე მანძილზე რბენა მოიგო ვ. პოდოლსკაიამ — 3.44,0. 2 კილომეტრზე ვაჟთა რბენის ფინიშთან პირველი იყო კერამიკული კომბინატის მხატვარი ზ. ავეტისიანი — 8.14,0.

ვ. ბუკია.

სასამართლო დარბაზიდან

## მკვლელს ღირსეული სასჯელი

საქართველოს ათგზის ჩემპიონი კრივში, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი გოდერძი ტაბატაძე პატივითა და სიყვარულით გააცილეს რინგიდან. სპორტული სარბიელი რომ დატოვა, გოდერძიმ მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში" დაიწყო შრომა და სულ მალე იქაც დაიმსახურა თანამშრომელთა პატივისცემა. ამასთან, გოდერძი აქტიურად მონაწილეობდა კრივის რესპუბლიკური საზოგადოების საქმიანობაში, კომბინატში ამ სახეობის სექციას ხელმძღვანელობდა.

იმ საბედისწერო საღამოს გოდერძი სამსახურიდან დაბრუნდა, ისადილა, მერე ქუჩაში გავიდა. გაზეთები იყიდა და ის იყო შინისკენ დააპირა წასვლა, რომ გოგოლისა და ჩელუსკინელების ქუჩის კუთხეში ივანე გუშჩიანი გადაუდგა წინ.

გუშჩიანი მთვრალი იყო. იმ დღეს იგი ერთხელ უკვე „მიაცილეს" მილიციის მუშაკებმა შინ, სადგურის მოედანზე ტაქსის რიგში აყალ-მაყალისთვის. მაგრამ ხულიგანი მალე ისევ ქუჩაში იყო და აღრენილი, ახალ „საკბილოს" ეძებდა. მთასავით ვაჟკაცი რომ დაინახა, უმიზეზოდ აუტორღიალა და სადღაც ექაჩებოდა.

გ. ტაბატაძემ გაოცებით გადახედა აბეზარს, მისი ხელი ირიბად მოიშორა და მშვიდად ურჩია: მთვრალი ხარ, შინ წადი, დაიძინე, ხალხს ნუ აწუხებო.

ხულიგანმა ნათქვამი იუკადრისა. ჯერ უშვერი გინება დაიწყო, მერე ესეც არ იკმარა და გ. ტაბატაძეს სახეში გაარტყა. გოდერძის ტუჩი გაუსკდა, ქუდი გადაუვარდა, გაზეთები დაუცვივდა. სამაგიეროს გადახდა მაინც არ იკადრა. დაიხარა, ქუდი და გაზეთები რომ აელო და... გუშჩიანმა დრო იხელთა — სამჯერ ჩასცა დანა.

სპორტსმენის მძლავრი ორგანიზმი ერთბაშად მაინც არ დანებდა. მძიმედ დაჭრილი გოდერძი წამოდგა, მაგრამ იმავე წუთში გუშჩიანმა კიდევ ორჯერ მოიქნია დანა. ეს ორი ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა.

ეს შარშან 18 ნოემბერს მოხდა.

ახლახან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ე. ხვანიძის თავმჯდომარეობით განიხილა კაცისმკვლელი ი. გუშჩიანის სისხლის სამართლის საქმე. ბრალდებას მხარს უჭერდა საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი გ. სიხარულიძე. საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოდიოდა მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" წარმომადგენელი ა. დოლიძე.

მართლმსაჯულებამ მკვლელ ი. გუშჩიანს დახვრეტა მიუსაჯა.

ზ. მესხიშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.

„ლელო" წერილის კვალდაკვალ

## „4 კანდიდატი და X ადგილი"

„ლელოს" 12 აპრილის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო ლენინგრადის ზამთრის ტურნირში საქართველოს მძლეოსნების მიერ მოპოვებულ მაჩვენებლებზე და ამ სახეობის განვითარების პერსპექტივებზე. როგორც საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციიდან გვატყობინებენ, საქართველოს სპორტკავშირისა და განათლების სამინისტროს მიერ შექმნილმა სპეციალურმა ბრიგადებმა შეისწავლეს რესპუბლიკაში ბავშვთა შორის მძლეოსნობის სწავლების საქმე, რის შემდეგ საკითხი მოისმინეს საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა ერთიან სხდომაზე. მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

# „შავი ხის დარბაზი" იღბლიანია...

„ლელოს" ინტერვიუ

როგორც ცნობილია, კარლსრუეში (გფრ) ამას წინათ გამართულ ევროპის I ჩემპიონატში თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. სსრ კავშირის ნაკრებში საქართველოდან 3 სპორტსმენი გამოდიოდა. ორმა — ზ. ბერიაშვილმა და შ. ლომიძემ „ოქრო" მოიხვეჭეს, ხოლო ა. ცხოვრებოვი „ბრინჯაოს" დასჯერდა. კარლსრუეში სსრ კავშირის სპორტულ დელეგაციას ახლდა ჩვენი ნაკრების მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ბალავაძე, რომელსაც ესაუბრა „ლელოს" რედაქციის სპორტული განყოფილების გამგე ნ. ჯუღუშვილი. გთავაზობთ ამ საუბარს...

**● რატომ მაინცდამაინც კარლსრუე აირჩია ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ სასპარეზოდ?**

— ამ გადაწყვეტილებას ობიექტური მიზეზი აქვს. დასავლეთ გერმანია XX ოლიმპიური თამაშების მოსაწყობად ემზადება და საერთაშორისო ფედერაციები მას ყოველმხრივ ეხმარებიან. ევროპისა და მსოფლიო პირველობის მასპინძლობა სასარგებლო „აკლიმატიზაციაა" არა მარტო სპორტსმენთათვის, არამედ გფრ-ის ოლიმპიური კომიტეტისთვისაც.

**● როგორ აფასებთ ტურნირს მონაწილეთა სიძლიერის მიხედვით?**

— მსოფლიო ჩემპიონატს ან ოლიმპიურ ასპარეზობას იგი, ცხადია, ჩამოუვარდებოდა. მაგრამ თუ არ მივიღებთ მხედველობაში იაპონიასა და ირანს, კარლსრუეში საჭიდაო სამყარო სრულად იყო წარმოდგენილი.

**● ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტად ვის მიიჩნევდნენ?**

— იყო რამდენიმე ფავორიტი, რომელთა შორის უპირატესობას ანიჭებდნენ სსრ კავშირის, თურქეთისა და ბულგარეთის გუნდებს.

**● რომელმა უცხოურმა გუნდმა დასტოვა თქვენზე კარგი შთაბეჭდილება?**

— თურქეთისამ და ბულგარეთისამ. ცალკეული პერსპექტიული ათლეტები იყვნენ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივებში.

**● იცნობდნენ თუ არა ჩვენს მოჭიდავეებს კარლსრუეში?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, იცნობდნენ და კარგადაც. კარლსრუეში რამდენიმე კაცმა გვიჩვენა გივი კარტოზიას ფოტოსურათი. თუმცა ეს არც გაგვკვირვებია: გივიმ მსოფლიო ჩემპიონის მეორე მედალი ხომ სწორედ ამ ქალაქში მიიღო! ჭიდაობის ერთ გულშემატკივარს შემონახული ჰქონია გივის ავტოგრაფიანი სურათი. ეს კარლსრუელი დიდხანს გვესაუბრა ჩვენს სახელგანთქმულ თანამემამულეზე და ბოლოს გვთხოვა კარტოზიასთვის მოკითხვა გადაგვეცა.

**● მაშ, ჭიდაობა ამ ქალაქში დიდად დაფასებული ყოფილა!**

— სრული ჭეშმარიტებაა და ეს ყველაზე მეტად ჩემპიონატის მსვლელობისას იგრძნობოდა. 4 დღის მანძილზე „შავი ხის დარბაზში" ხალხის ტევა არ იყო.

**● როგორ ექირათ თავი გულშემატკივრებს?**

— აქ ერთი რამ უნდა დავაზუსტოთ. იყვნენ ადგილობრივი გულშემატკივრები, რომლებსაც მიკერძოებას ვერ დავწამებ; იყვნენ თურქი გულშემატკივრებიც (თურქეთიდან ჩამოსულები და გერმანიაში მცხოვრებნი), რომლებმაც „შავი ხის დარბაზში" პატარა „თურქული კოლონია" შექმნეს. თავიანთი ექსპანსიური საქციელით ისინი ხელს უშლიდნენ მსაჯებსაც და მონაწილეებსაც. რამდენიმეჯერ მათი დაშოშმინება მხოლოდ პოლიციის ჩარევით მოხერხდა. თურქ გულშემატკივრებზე, ალბათ, უსიამოვნო მოგონება დარჩა შვეციელ მსაჯს სტრომბერგს, რომელსაც სულ ტყუილ-უბრალოდ დაუშინეს ლუდისა და ლიმონათის ცარიელი ბოთლები.

**● რას იტყვით საბჭოთა ნაკრების დებიუტანტზე ა. ცხოვრებოვზე?**

— III საპრიზო ადგილი მისთვის წარმატებაა, თუმცა ანდრთს უკეთესი შედეგისთვის შეეძლო მიეღწია. ცხოვრებოვი მხოლოდ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მიხვდა, რომ პირველობა დაკარგა. ამის მიზეზად მისი გაუბედაობა, ძირითადად კი, გამოუცდელობა მიმაჩნია.

**● ზ. ბერიაშვილსა და შ. ლომიძეზე რაღას იტყვით?**

— ბერიაშვილი, როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ლომიძემ კი თავის თავსაც გადააჭარბა. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ლომიძის ბოლო გამარჯვებას, რამაც ჩვენი გუნდის საერთო წარმატება განაპირობა. შოთამ ბრწყინვალედ დაამარცხა თურქი აიკი, რომელსაც ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტად მიიჩნევდნენ.

**● ჩვენი გუნდის დანარჩენი წევრები როგორ გამოვიდნენ?**

— ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ნაკრების დებიუტანტებმა ე. თედეევმა და ი. შახმურადოვმა.

**● უახლოეს მომავალში ჩვენს მოჭიდავეებს რომელ შეჯიბრებაში მოუწევთ გამოსვლა?**

— ივნისში, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ტოლიდოში მსოფლიო ჩემპიონატი იმართება და ჩვენი გზაც იქითკენაა.

**● გადახალისდება თუ არა ამ ტურნირისთვის საბჭოთა ნაკრები?**

— ძველ შემადგენლობას კიდევ ორი ქართველი მოჭიდავე დაემატება: ტ. ალიბეგაშვილი და გ. საღარაძე.

**● რატომ არ მონაწილეობდნენ ისინი ევროპის ჩემპიონატში?**

— ჭიდაობის საკავშირო ფედერაციამ მათ ხანმოკლე დასვენების საშუალება მისცა. ეს მათთვის საჭირო იყო.

## ფოტორეპორტაჟი კულუარებში...

პეტროსიან — სპასკის მატჩის გულშემატკივრებს ცხარე დღეები დაუდგათ. ამას ხელად იგრძნობ ესტრადის თეატრში — მაყურებელთა დარბაზში, პრეს-ცენტრში, დერეფნებში... დიდოსტატები, ოსტატები და მაყურებლები ერთნაირი გატაცებით მჭობენ ორთაბრძოლის პერიპეტიებზე, მის ფინიშზე. ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ძალაუნებურად გაგონდება უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონის, დიდოსტატ ლ. პორტიშის სიტყვები: „ვინ გაიმარჯვებს? ამ კითხვაზე პასუხს არ გაპირებ. თუმცა პეტროსიანთან დადებითი ანგარიში მაქვს, სპასკისთან კი — უარყოფითი, დარწმუნებული ვარ: ორივე დიდოსტატს თანაბარი შანსი აქვს, მატჩის ბედს მეტი „გამძლეობა" გადაწყვეტს".

დიახ, დასკვნით პარტიებს მეტი შემართებით ჩაატარებს ის, ვისაც უფრო მტკიცე ნერვები აქვს, ვინც მეტ სულიერ სიმხნევეს გამოიჩენს.

ყველას აინტერესებს მატჩის კულუარების ამბები. როგორ ხასიათზე არიან დიდოსტატები, რას ფიქრობენ, როგორ განიცდიან ბრძოლის მსვლელობას? და კიდევ ბევრი, ბევრი სხვა კითხვა აღელვებთ გულშემატკივრებს. მაგრამ ახლა ამ კითხვებით ვერ შევაწუხებ მეტოქეებს. სამაგიეროდ, ჩვენმა მოსკოველმა კორესპონდენტმა ბ. ტ უ რ ო ვ მ ა ბევრისმთქმელი ფოტოსურათები გამოგვიგზავნა.



გულშემატკივრები ესტრადის თეატრში მოაცილებენ ბ. სპასკის. დააკვირდით დიდოსტატს: ჩაფიქრებული სახე, ფიქრით სავსე თვალები... იმედიანად მიაბიჯებს, თითქოს მზადაა ახლავე, ამ წუთს შემუსროს მეტოქის პოზიცია.



ეს-ესაა პარტია დამთავრდა და მეტოქენი, როგორც ყოველი პარტიის შემდეგ, ახლაც ჩაუსხდნენ მის გარჩევას. სპასკი ვერ მოხვდა კადრში. სამაგიეროდ, თქვენ ხედავთ (მარცხნიდან) ა. ო'კელის, ტ. პეტროსიანს, მ. ფილიპსა და მატჩის ერთ-ერთ ადმინისტრატორს, ოსტატობის კანდიდატ ბ. რავკინს. პეტროსიანის მარჯვნივ დგას რონა პეტროსიანი, მსოფლიო ჩემპიონის მეუღლე. რონა მუდამ იქაა, სადაც მისი ცხოვრების მეგობარი იბრძვის.



ზოგჯერ სპეციალისტებიც ვერ ხვდებიან ამა თუ იმ პარტიაში გაკეთებულ ყველა სვლის აზრს და ამიტომ არის, რომ პრეს-ცენტრში მოუთმენლად ელიან ხოლმე პეტროსიანსა და სპასკის. აი, ახლაც მსოფლიო ჩემპიონი სადემონსტრაციო დაფასთან დგას და... და მოასწარი ყველაფრის ჩაწერა.



მიხეილ ტალს შენიშვნა აქვს.

— რა? — დაინტერესდა ტიგრანი.

იყო დრო, როცა პეტროსიანი არჩევდა მიშას პარტიებს. ტალი ისევე, როგორც მაშინ, ახლაც ყურადღების ცენტრშია. იგი თითქოს სულში უზის პეტროსიანსა და სპასკის. ამიტომაა, რს რომ გამოჩნდება, პრეს-ცენტრში საერთო გამოცოცხლებაა. მიშა არჩევს პარტიას, ესაუბრება ტელემაყურებლებს, წერს კორესპონდენციებს და გონებამახვილურად პასუხობს ჟურნალისტებს.

მატჩის წინ ტალმა იხუმრა: როცა მე ბოტვინიკთან ვთამაშობდი, ტიგრანი გულდაგულ არჩევდა ჩემს პარტიებს, წერდა გაზეთებში... ახლა მე გავაანალიზებ მის თამაშს. ხომ შეიძლება მეც მომიწიოს მატჩის თამაში მსოფლიო პირველობაზე!

# ოლიმპიური დიდების სკოლა

სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ალექსეევმა და მისმა რამდენიმე მოსწავლემ საყოველთაო ყურადღება მიიქციეს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. მათ საბჭოთა გუნდს შესძინეს 35 ქულა, — მეოთხედი იმისა, რაც ჩვენმა მძლეოსნებმა სულ დააგროვეს ოლიმპიურ სარბიელზე. ტოკიოს ოლიმპიადის ოქროს 5 მედლიდან 3 მოიპოვეს სახელგანთქმული ლენინგრადელი მწვრთნელის მოწაფეებმა. ამ ასპარეზობაში საბჭოთა მძლეოსნების საერთო წარუმატებლობა გულსატკენი და მოულოდნელი იყო. სამაგიეროდ, „ლენინგრადელთა დიდი ოთხეულის" — თამარ და ირინა პრესების, გალინა ზიბინასა და ანატოლი მიხაილოვის სასიხარულო გამარჯვება არავის გაჰკვირვებია.

ნევისპირა ქალაქის მძლეოსნურმა სკოლამ დიდი ხანია დააინტერესა მთელი სპორტული სამყარო. ვ. ალექსეევს არა ერთი „ვარსკვლავი" გაუზრდია და გაუყვანია დიდ ორბიტაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ყველაზე ბრწყინვალე „თანავარსკვლავედი" დები პრესები არიან.

„ჩქარი დინება" დაარქვა მძლეოსანთა ამ ცნობილ სკოლაზე დაწერილ თავის წიგნს სპორტულმა ჟურნალისტმა ვ. ვიქტოროვმა. ეს წიგნი პირველად რამდენიმე წლის წინ გამოიცა, მაგრამ ინტერესი მისდამი დღესაც არ განელებულა. მკითხველს იზიდავს ცოცხალი მოთხრობა სკოლის დაბადების, ტრადიციების, მწვრთნელთა და მოწაფეთა, მათი გამარჯვებებისა და მარცხის შესახებ. იზიდავს საინტერესო ცხოვრება, რომელიც ტრიბუნების მიღმა, საწვრთნელ მანეჟზე, დარბაზებში, ლია ცის ქვეშ, მდინარის ნაპირებსა და ტყის ბილიკებზე ჩქეფს. ამ წიგნს რომ ფურცლავ, ხვდები, რა რთული და ძნელად-სავალი ყოფილა გზა პირველი სტარტებიდან დიდ სარბიელზე გამარჯვებამდე, გზა ოლიმპიური დიდების მწვერვალებისაკენ.

ახლახან „ფიზკულტურა ი სპორტმა" ხელახლა გამოცა ეს კარგი წიგნი. ავტორმა იგი შეავსო, გადაამუშავა და სახელიც შეუცვალა. ახლა მას ჰქვია „ოკეანის შესართავთან".

აი, რას ამბობს ვიქტოროვი ამ ახალი სათაურის თაობაზე:

„მე „ჩქარი დინება" დავარქვი ვიქტორ ალექსეევზე, მის ერთგულ თანაშემწეებზე და მადლიერ მოწაფეებზე დაწერილ წიგნს, ტოკიოში კი მოწმე გავხდი იმისა, თუ როგორ გააგრძელა ეს წიგნი თვით ცხოვრებამ. ეგეც რომ არ იყოს, ტოკიოს შემდეგ წარსულიც ახლებურად წარმოგვიდგება. აბა, დაუკვირდით: ალექსეევის საკუთარი წარმატება პატარა ნაკადული იყო, ნაკადული პატარა მდინარედ იქცა — ალექსეევს უკვე ჰყავდა პირველი მოწაფეები. მდინარემ ჩვენს თვალწინ იმატა, წყალუხვი გახდა, მომძლავრდა — დაარსდა სპორტული სკოლა და ოკეანისაკენ — დიდი მძლეოსნობისკენ აიღო გეზი.

დიახ, ახლა, ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც იქ მოხდა, მხოლოდ საკუთარ სკოლაზე და საკუთარ მოწაფეებზე ფიქრი აღარ შეიძლება. ახლა საჭიროა ზრუნვა იმისთვის, რომ ყველა უფრო ძლიერი იყოს, რომ ყველა უკეთ გამოდიოდეს შეჯიბრებებში, რომ მეოთხედი საუკუნის მანძილზე შეუპოვარი, გულმოდგინე ვარჯიშისა და ძიების გზით მოპოვებული პედაგოგიური გამოცდილება მარტო ერთ სპორტულ სკოლას არ მოხმარდეს.

მოვდინება მდინარე სპორტი, მოედინება და გზადაგზა უამრავ ახალ ნაკადულს იერთებს. მოდით, ერთხელ კიდევ გავყვეთ მას, მასთან ერთად მივიდეთ ოკეანის შესართავამდე".

ისლა დაგვრჩენია, გზა მშვიდობისა ვუსურვოთ ვ. ვიქტოროვის წიგნის მკითხველებს. მეტი არ არის, ეს გზა სასარგებლო და საინტერესო იქნება.

## ახალი წიგნები

ახალი წიგნების საცნობი

# 6 წამი და „ოქრო“

როგორც ცნობილია, მშვიდობის XIX ველორბოლაში გაიმარჯვეს სსრ კავშირის ნაკრებმა და ფრანგმა ბერნარ გიუიომ.

დაფნის გვირგვინი გიუიოს მძიმე ბრძოლის ფასად ხვდა წილად. მისი შედეგი დაახლოებით 2 წუთით უკეთესია II ადგილზე გასული საბჭოთა ველოსიპედისტის ა. დოხლიაკოვის მაჩვენებელზე. გაცილებით ძნელი იყო საბჭოთა გუნდის გამარჯვება: ჩვენმა მეგობრებმა — გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის და, განსაკუთრებით, პოლონეთის სპორტსმენებმა დიდი ტაქტიკური სიბრძნე, მზარდი ოსტატობა და შესაშური ფიზიკური მომზადება გამოავლინეს. ისინი პირდაპირ ქუსლებზე გვადგამდნენ ფეხს... მსოფლიოში მოყვარულთა ყველაზე დიდი მრავალდღიანი საგზატკეცილო ველორბოლის ისტორიაში პირველად ასე უმნიშვნელოდ მცირეა ინტერვალი პირველსა და მეორე გუნდს შორის — სულ რაღაც 6 წამი.

ბოლო, 44-კილომეტრიან ეტაპზე (შტრაუსბერგი — ბერლინი, დაყოფილი სტარტით) ყველაზე სწრაფად იარა პოლონელმა ი. მაგერამ — 55.54. საბჭოთა ველოსიპედისტთაგან საუკეთესო იყო გ. ლებედევი — 59.39.

ბოლო ეტაპის წინ საბჭოთა ნაკრები პოლონეთის ეროვნულ გუნდს 3 წუთითა და 46 წამით უსწრებდა. მაგრამ პოლონელებმა კარგად მოიგეს დასკვნითი ეტაპი — 3 წუთი და 40 წამი „ამოიღეს“.

აი, 6 საუკეთესო ველოსიპედისტი:

1. ბ. გიუიო — 57:49.33;
2. ა. დოხლიაკოვი — 57:51.12;
3. ა. პეშელი (გდრ) — 57:53.18;
4. ვ. ვან ნესტე (ბელგია) — 57:53.20;
5. პ. გუერა (იტალია) — 57:54.21;
6. ა. პეტროვი (სსრ კავშირი) — 57:55.52.

საუკეთესო გუნდების სამეული ასე გამოიყურება:

1. სსრ კავშირი — 173:37.13;
2. პოლონეთი — 173:37.19;
3. გდრ — 173:45.08.

# ყოველი მხრიდან

## ✦ სპორტსმენის მოვალეობა

ჰაინც ლაუფერი მარტო გერმანიაში ცნობილი სპორტსმენი როდია. მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში მან IV ადგილი დაიკავა წინაღობებით 3.000 მეტრზე რბენაში, შემდეგ კი არა ერთხელ მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ამიტომ მისმა გამოსვლამ გფრ-ის ჟურნალ „ოფენ უნდ ფრეის“ („გულღიად და თავისუფლად“) ფურცლებზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთ გერმანიის სპორტისმოყვარულთა შორის.

ლაუფერმა მკითხველებს მოუთხრო, როგორ მიიღო მონაწილეობა მშვიდობისადმი მიძღვნილ საზაფხულო ტრადიციულ მარშში და გფრ-ის ათასობით მშვიდობისმოყვარე ადამიანთან ერთად მოიარა მთელი ქვეყანა. რამ აიძულა იგი გადაედგა ნაბიჯი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში არც თუ ისე უხიფათოა? „ეს ჩემი, როგორც სპორტსმენის, მოვალეობა იყო“, — განაცხადა ლაუფერმა.

ცნობილმა სპორტსმენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად ყოველი პატიოსანი ადამიანის ვალია სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში. ეს ბინძური ომია და არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენმა მთავრობამ მას მხარი დაუჭიროსო, — თქვა მძლეოსანმა და ისიც დაუმატა, რომ ინდოჩინეთში აშშ-ის ინტერვენცია შეიძლება მსოფლიო ხანძრად იქცესო.

„მე ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ და ბევრ ათლეტს შევხვედრივარ, — წერს ლაუფერი. — მაგალითად, პრაღაში ბევრი მეგობარი მყავს და არ მინდა, რომ მე ან ჩემმა შვილებმა ვესროლოთ მათ ან მათ შვილებს. სწორედ ამიტომ ვიბრძვი მშვიდობისთვის“.

## ✦ ოპერაცია „ოლიმპიური ექსპედიცია“

ამ ცოტა ხნის წინათ პარიზში, კლიშის მოედანზე გაიხსნა სუვენირების პატარა მაღაზია, რომელმაც სულ მალე დიდძალი მყიდველი მიიზიდა. საქმე ის არის, რომ მაღაზიის ვიტრინას ასეთი აბრა ამშვენებდა:

„იყიდეთ მხოლოდ ჩვენი საქონელი. მთელი შემოსავალი გამოყენებული იქნება მექსიკაში 1968 წლის საფრანგეთის ოლიმპიური ექსპედიციის სასარგებლოდ“.

პარიზში ბევრი სპორტისმოყვარულია. ყველა, ვინც კი კლიშის მოედანს ჩაუვლიდა, სიამოვნებით ყიდულობდა სრულიად უსარგებლო სუვენირებს. მყიდველი დარწმუნებული იყო, რომ ამით ფრანგ ოლიმპიელებს ეხმარებოდა.

ყველაფერი კვლავაც კარგად იქნებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც პოლიციელს აზრად არ მოსვლოდა გაეგო, ვისი დავალებით ვაჭრობდა ეს ორი გამყიდველი. გაირკვა, რომ ისინი „საკუთარი ინიციატივით“ აგროვებდნენ ნაცნობებში სანაგვე ყუთში გადასაყრელ სუვენირებს და ყიდდნენ. პოლიციასთან რომ თავი ემართლებინათ, ყალთაბანდებმა განაცხადეს:

„პატიოსნად ვაღიარებთ, რომ მოგებული ფულით მართლაც ვაპირებდით მეხიკო-სიტიში ოლიმპიადაზე გამგზავრებას, რათა საფრანგეთის გუნდისთვის გულშემატკივრობა გაგვეწია. განა ეს სასარგებლო არ იქნება საფრანგეთის ოლიმპიური გუნდისთვის“?

„ბოროტგანზრახველთა“ პასუხმა პოლიციელებს გული აუჩუყა, მაგრამ მაღაზია თავისი სუვენირებით მაინც ჩამოართვეს. ოპერაცია „ოლიმპიური ექსპედიცია“ ჩაიფუშა.

## ✦ ფული გოლებისთვის...

ინგლისის ფეხბურთის მოყვარულთა კლუბმა — „სპორტინგ კლაბ ნაიტბრიჯმა“ (სპორტული კლუბი „რაინდული ხიდი“) დააწესა საგანგებო პრემია ლონდონის მომავალი ჩემპიონატის ბომბარდირთა მეფისთვის. 1000 გირვანქა სტერლინგი გადაეცემა ფეხბურთელს, რომელიც ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს ჩემპიონატის მატჩებში.

ამ დღეებში გაზეთი „დეილი ექსპრესი“ იუწყებოდა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ს. როუზი „საუკეთესო თავდამსხმელისთვის მსგავსი მატერიალური სტიმულის შემოღების წინააღმდეგი არ არის“.

# 10:4 „პარტიზანის“ სასარგებლოდ, ანუ პროგნოზები საპნის ბუშტია

„იუმანიტე-დიმანშის“ ფურცლებზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის წინ დაიბეჭდა საფრანგეთის ჩემპიონის „ნანტის“ ფეხბურთელთა პასუხები შეკითხვაზე: ვინ მოიპოვებს ამ საპატიო პრიზს?

საქმე ის არის, რომ „ნანტი“ ამ გათამაშების მეოთხედფინალიდან „პარტიზანმა“ გამოთიშა (2:2, 0:2), ხოლო ორი თვის წინათ ალჟირის საერთაშორისო ტურნირში საფრანგეთის ჩემპიონი „რეალთან“ დამარცხდა (0:1).

და აი, „ნანტის“ ათმა ფეხბურთელმა „პარტიზანის“ გამარჯვება იწინასწარმეტყველა, ხოლო ოთხმა — „რეალისა“. „ლელოს“ მკითხველთათვის უინტერესო არ იქნება გაეცნონ ამ პროგნოზებს. ისინი ხომ იმ ფეხბურთელებმა გამოთქვეს, რომლებმაც, ასე ვთქვათ, თავიანთ ტყავზე გამოსცადეს ორივე ფინალისტის ძალა.

ეს პროგნოზები იმითაცაა საინტერესო, რომ ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით ფეხბურთში მისნობის უაზრობაში.

აი, რას ამბობდნენ:

1. **მეკარე ელიზე აინ:** (ჭრილი) — **მწვრთნელი არიბასი** (თავისი ესპანური წარმოშობის მიუხედავად): „პარტიზანი“ უდავოდ უფრო გამოცდილი გუნდია. იგი გაიმარჯვებს — 2:1.

2. **ცენტრალური თავდამსხმელი სიმონი:** ბრიუსელელი (ფინალური მატჩი ბელგიის დედაქალაქში შედგა. — რედ.) მაყურებელი „პარტიზანის“ მხარეს დაიჭერს, ვინაიდან მადრიდში „ანდერლეხტთან“ შეხვედრისას არბიტრი ესპანელებს ეხმარებოდა. ვფიქრობ, მადრიდელთა სწრაფი კონტრიერიშები არაფერს დააკლებს „პარტიზანს“. იგი მოიგებს — 3:1.

3. **სტოპერი ბუძინსკი:** „პარტიზანის“ მშვიდი და ტექნიკური თამაში უდავოდ მისი მაღალი კლასის მაჩვენებელია. „რეალი“ ბრიუსელში არახელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდება. დაბოლოს, ეს წელი, ჩემი აზრით, „პარტიზანის“ წელია: პრაღის „სპარტას“ 5:0-ზე დამარცხებით იუგოსლაველებმა თავიანთი ძლიერება გვაჩვენეს. „პარტიზანი“ მოიგებს — 2:1.

4. **მეკარე ეონი:** „რეალს“ ალჟირში შევხვდით და თავისი უხეში, მოუქნელი თამაშით ჩვენზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. იუგოსლაველები მოიგებენ — 1:0.

5. **ნახევარმცველი მიულერი:** იუგოსლაველთა უფრო გამოცდილი გუნდი დაამტკიცებს თავისი ხელობის ცოდნას. „პარტიზანის“ დაცვის სოლიდურობამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. „პარტიზანი“ მოიგებს — 2:0.

6. **ნახევარმცველი რობენი:** „პარტიზანის“ გამოცდილება თავისას იტყვის. იგი ნაღდად მოიგებს, თუნდაც ანგარიშით 3:1.

7. **მცველი გრაბოვსკი:** „პარტიზანი“ ძალიან ძლიერი გუნდია, მის მოთამაშეებს კი კარგი ნერვები აქვთ. იუგოსლაველები მადრიდელებზე უკეთესი მეჩვენებიან. „პარტიზანი“ მოიგებს — 3:1.

8. **გარემარბი ბლანშე:** „პარტიზანი“ არა მარტო ტექნიკური გუნდია, — იგი ფიზიკური მომზადების მხრივაც გამოირჩევა. ეს ჰარმონიული ანსამბლი დაამარცხებს განახლებულ, ჯერ კიდევ მოუმწიფებელ „რეალს“ — 2:1.

9. **მცველი დე მიშელი:** ორივე გუნდი თანაბარი ძალისაა, მაგრამ „პარტიზანი“ უფრო გამოცდილია. იგი გაიმარჯვებს — 1:0.

10. **გარემარბი ტურე:** „პარტიზანი“ „რეალზე“ ძლიერია. იუგოსლაველები მოიგებენ — 2:0.

ოთხმა ფეხბურთელმა „რეალის“ გამარჯვების რწმენა გამოთქვა:

1. **ცენტრალური თავდამსხმელი გონდე:** „პარტიზანის“ დაცვა ძლიერია, — ეს მე გამოცდილი მაქვს. მაგრამ ვფიქრობ, რომ „რეალის“ ახალგაზრდობა, მისი ტემპერამენტი და გამარჯვებისადმი სწრაფვა თავისას გაიტანს. ესპანელები მათთვის დამახასიათებელი სიმხნევით შეუტევენ „პარტიზანს“ და გაიმარჯვებენ — 3:1.

2. **ნახევარმცველი სიუოდო:** მატჩი უდავოდ საინტერესო იქნება. „რეალი“ ერთ-ერთი იმ იშვიათი გუნდთაგანია, რომელსაც ძალუძს მოედნის „შუაგულის დაპყრობა“, სადაც გადამწყვეტ როლს ითამაშებს ჰენტო.

3. **მცველი ლე შენადეკი:** მადრიდელები აჯობებენ იუგოსლაველებს. „რეალის“ ახალგაზრდობა ყოველნაირად ეცდება თავისი უნარის გამოჩენას. ბრიუსელელი მაყურებელი, უდავოდ, „რეალისადმი“ მტრულად იქნება განწყობილი, მაგრამ ესპანელები მის სიმპათიას დაიმსახურებენ. „რეალი“ მოიგებს — 3:2.

4. **ცენტრალური თავდამსხმელი პრუ:** საინტერესო მატჩს ესპანელები მოიგებენ 2:0-ზე და თასს დაიბრუნებენ.

ახლა გავახსენებთ, რომ ფინალში „რეალმა“ დაამარცხა „პარტიზანი“ (2:1) და თასიც დაიბრუნა. საინტერესოა ისიც, რომ ბევრ ამ წინასწარმეტყველს ჩვენ 5 ივნისს მოსკოვში, სსრ კავშირის ნაკრებთან ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ვიხილავთ.

**ნ. ქავთარაძე.**



— პელე ერთი გუნდია, — ამბობს ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი პიტერ ლორენცო. როცა „შავი ბრილიანტი“ თავის სტიქიაშია, მასთან ზოგჯერ ოთხ მეტოქესაც კი უჭირს თამაში. სურათზე სწორედ ასეთი მომენტია აღბეჭდილი (პელე თეთრ მაისურშია).

# „იმპორტი“ ესპანეთში

ესპანეთის ფეხბურთელთა შორის ამჟამად ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს „ბარსელონას“ მარჯვენა მცველი ბენიტესი. სპორტული კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ბენიტესმა არ იცის, რა არის ბურთის უმიზნოდ მოგერიება, თავდამსხმელებს კარგად ეხმარება და ყველა მისი გადაცემა ზუსტია. ნაკრების მწვრთნელი ვილიალონგა აპირებს ბენიტესის გამოყენებას, მაგრამ ეს სპორტსმენი წარმოშობით ურუგვაელია, თუმცა უკანასკნელი ცნობის თანახმად, ბენიტესმა ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და ალბათ ნაკრებშიც ითამაშებს.

ესპანეთში კვლავინდებურად ბევრი უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს. მადრიდის „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში არიან არგენტინელი მეკარე მადინაბეიტია, ჰონდურასელი მცველი ხაიო, სტოპერი გრიფა არგენტინიდან. ორივე ცენტრფორვარდი უცხოელია: მოზამბიკელი ზანგი მენდოსა და გვიანელი ზანგი ხონესი. ამ გუნდის ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი, მარჯვენა გარემარბი უფარტე ფაქტიურად ბრაზილიელია, ვინაიდან მთელი თავისი ცხოვრება ბრაზილიაში გაატარა.

უცხოელი „ვარსკვლავებით“ ოდესღაც მდიდარი მადრიდის „რეალი“ ამჟამად მხოლოდ ესპანელ ფეხბურთელთაგან შედგება.

მესამე პრიზიორის — „ბარსელონას“ შემადგენლობაში ურუგვაელი ბენიტესის გარდა, თამაშობს ფრანგი მიულერი. „სარაგოსაში“ თამაშობენ ბრაზილიელი კანარიო, პერუელი სივი, ბრაზილიელი სანტოსი, „ვალენსიაში“ — არგენტინელი სანჩეს-ლაგე, ბრაზილიელი ვალდო.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

▲ **ლაიპციგი.** მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში გდრ-ის რეკორდები დაამყარეს: კოულმა — ბადროს ტყორცნაში — 58,62 და სპორტსმენმა ქალმა ტილემ — სიმაღლეზე ხტომაში — 173 სმ.

▲ **ლოს-ანჯელოსი.** აშშ-ის მძლეოსანთა ტურნირში გაუმჯობესდა ორი ეროვნული რეკორდი: ჯ. ტუპაისმა შუბი ტყორცნა 86,56 მეტრზე, ხოლო გ. ლინდგრენმა 3 მილზე რბენაში აჩვენა 12.53,0.

▲ **პარიზი.** დევისის თასის გათამაშებაში ბრაზილიის ჩოგბურთელთა ნაკრებმა დაამარცხა ესპანეთის გუნდი — 3:2 და გათამაშების შემდეგ ეტაპში გავიდა. მაროკომ უარი თქვა იტალიელებთან შეხვედრაზე.

▲ **რომი.** „ეროვნებათა თასზე“ ცხენოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ტურნირში მონაწილეობდნენ ინგლისის, გფრ-ის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და იტალიის გუნდები.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. **29 მაისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი (II ჯგუფი). „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო). ძირითადი შემადგენლობანი.** დასაწყისი 14 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. 29 მაისი. IX ტური.** 30-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 17 ს.

**ზაიბიანი ჰოკეი.** სპორტის სასახლე. **29 მაისი. ამხანაგური შეხვედრა. საქართველო (ნაკრები) — თბილისი (ნაკრები).** დასაწყისი 19 ს.

**ძალოსნობა.** ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **29 მაისი. თბილისის თასის გათამაშება სპორტსაზოგადოებებისა და სპორტკლუბების ნაკრებ გუნდებს შორის.** დასაწყისი 12 ს.

**მძლეოსნობა.** „დინამოს“ სტადიონი. **29 მაისი. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა და მოლდავეთის სამატჩო შეხვედრა.** დასაწყისი 16 ს.

**ქართული ჭიდაობა.** კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი (ლენინის ქ. № 37). **29 მაისი. თბილისის თასის გათამაშება კასპის, დუშეთის, გორისა და ახმეტის გუნდების მონაწილეობით.** დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** **საკავშირო ზონალური პირად-გუნდური პირველობა უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლათა შორის. 29 მაისი.** ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზი. **ფარიკაობა.** დასაწყისი 11 ს. **30 მაისი.** ავჭალის სასროლეთი. **სროლა.** დასაწყისი 11 ს. დახურული აუზი (ვაკე) **ცურვა.** დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01588